№2188 2013 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის (შემდგომში – ფესტივალი) ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

ლევან ყიფიანი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, კომისიის წევრი

დავით ნარმანია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის წევრი

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ალექსანდრე ჭიკაიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ალექსანდრე ახვლედიანი – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი-თბილისი-2015 - ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

პაპუნა პეტრიაშვილი – ქალაქ თბილისის მერის მოადგილე

2. კომისია იკრიბება არანაკლებ კვარტალში ერთხელ ფესტივალის ჩატარების საორგანიზაციო და მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

3. კომისიის საქმიანობაში, კომისიის თავმჯდომარის მოწვევით მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო უწყებების, სხვადასხვა ორგანიზაციების, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**